

კაჟა ეტჷისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2019



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 6

2019



მთ. რედაქტორი

ბიჭო სინარულიძე

მწერალი, პუბლიცისტი, ნიკო
ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-620-1 (6 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეგი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონას, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხავი.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“


კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეშავი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დედამევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





**„ბულცინვალ უმხვლი ყოველ ძეგას, ყოველ
ძაბეგას.“**

ა. პუშკინი

**წინასიტყვაობის მაბიერ
(გაგრძელება)**

წმიდა მოციქული გვირჩევს: „შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას“ (ეფესელთა, 6, 11).

„იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყელუნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები და ფეხშემოსილნი მზადყოფნაში მშვიდობის სახარებლად.

და ყოველივე ამასთან ერთად აიდეთ რწმენის ფარი, რომლითაც შეძლებთ ბოროტების გავარვარებული ისრების ჩაქრობას.

აიდეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა“ (ეფესელთა, 6, 14, 15, 16, 17).

აპოკალიფსურ მხეცებთან მეომარი პოეტის აბჯარია რწმენა, მზე (ღმერთი) მუზარადი: „მოლანდება გღეგდა მხეცის და მოძალეს ზარავდი, ტანზე აბ-



ჯრად რწმენა გეცვა, გეხურა მზის მუზარადი“ (ხვარცასავეთ გადამდეგი).

„ოქროს საჭურველი“ და „ჯავშანი“ „სიყვარულის ღვინო“, ვარსკვლავები (ღმერთის სახელებია): „სიყვარულის ღვინოთ სავსე ვარსკვლავების დგას ჭურები. და მზაკვართა ზრახვებს დაფშვნის შენი ოქროს საჭურველი და სიმძიმე შენი ჯავშნის“ (სიყვარულის ღვინოთ სავსე).

მხოლოდ „ჭეშმარიტების“ (უზენაესის) მჭვრეტელს ექცევა მზე (ღმერთი) ფარად: „ვჭვრეტლი ჭეშმარიტებას და ხელს მეპყრა მზე ფარად“ (ვჭვრეტლი ჭეშმარიტებას).

ვინც „კოლხური ფსალმუნების“ ტიტანურ ხუთტომელს იცნობს, იშვიათ მიგნებად, ობიექტური სინამდვილის გამომხატველ განცხადებად მიიჩნევს პოეტის სტრიქონებს: „კოლხური სიდარბაისლით, უფლით რწმენით და ამაგით, ზღვები და მთები დასძარი და სიბრძნის ვანი ააგე, ვით სოლომონის ტაძარი“ (კოლხური სიდარბაისლით).

ვაჟა ვერისელისთვის პოეზია არის „მედინა და მექა“, მას არ აშინებს ამ გზის სიშორე: „ქართლს და ვერისს ნიადაგ, თავზე დასტრიალებდი, ვით ხელმწიფე ადრეკი. გზა შორია მექამდე? მაგრამ ამ გზას ადექი შენ სამყაროს შექმნამდე“ (გზა შორია მექამდე?).



პოეტს პარნასელებთან, ფიქრის მთაზე ეიმედება თავისი ადგილი: „ვიცი, პარნასელები, თავზე ხელის ადებით, ფიქრის მთაზე რომ ავლენ, შენც იქ ახვალ ბალებით ისე, როგორც ეწადა იპოლიტე რომაელს“ (ვიცი, პარნასელები).

„კოლხური ფსალმუნების“ გამორჩეული საღმრთო სიტყვის მახასიათებლებია: ციური მანანა, სიბრძნის ვანი, სოლომონის ტაძარი, ფილოსოფიური ქვა, სიბრძნის ქვა, ციური ქვა, გრაალი, საწმისი, ფსალმუნი, აისბერგი, აეროლითები, ბათოლიები, რწმენის კუნძული, ვარსკვლავთა კუნძული, პირამიდები, არმაზის ბილინგვა, სერაფიტა, პლანეტა, უსასრულო ფიქრის მწვერვალი, პოეზიის ციხე-ქალაქები, ქუჩები, გამზირები, სკვერები, მოედნები, სიტყვის სასახლე, მთვარის სასახლე, სიყვარულის იმპერია, სიბრძნის ღვინო, სიყვარულის ღვინო, სინათლის ღვინო, ახალდაბა, ახალშენი, რავქნისა ციხე, ფილოსოფოსიური ქვით ნაღესი სავანე, საკმეველის ხე, ფიქრის ხე, საგაზაფხულო ხმა, მიცვალებულის გამცოცხლებელი ჯადოსნური სიტყვის ბალახი, ფაზისი, ენგური, ნილოსი, დედა-მტკვარი არავით, მისისიპი მისურით, ცათამბჯენი, ზღვა, ოკეანე, ზეცის ვაზის გალობა, გალობა მებადურთა და მონადირეთა, წმინდა მთის წყარო, ღრმა ჭა, ცის პური, ცის ღვინო, ცის ყურძენი, სიბრძნის ციდან მონაბერი ქარიშხალი, ეკლესიის გალობა, საუნჯე, მთიები, ქარ-



თული სულის კოლიზეუმი, პოეზიის იმპერია, ქართულის პოეზიის იაღბუზი და ეიფელი, კიკლოპების ნაგები სასახლე, ქართული ცის ეკლესია მზისა და მთვარის მგალობელ ზარით, სჯულის კიდობანი, სჯულის ფიცარიუფლის სანთლები, ოქროს თასი ქრისტეს ინიციაციებით, ხმის ძღვევამოსილი იმპერია, რჩეულთა სვეტი, არმაზის ბილინგვა, პირამიდები, ზესთა წიგნები, მზის და სიცოცხლის დღესასწაული სიტყვის სფეროები და ლექსების პლანეტები, პოეზიის ტაძრები, ცათამბჯენები, მთვარით გადახურული სიტყვის სასახლე ვარსკვლავებით ურიცხვით, ცხრა მზით და ცხრა კარიბჭით...

საყურადღებო განაცხადია: „საუკუნეთა ბჭეებს გადივლის, შეებრძოლება ჟამს რკინის მკვნეტავს და ვით ცისკრისას დიადი მზე აღმოსავლეთით აღიმართება წიგნი ესე რჩეულთა სვეტად“.

ჭეშმარიტი პოეტი სახელდებულია, როგორც სიტყვის გოლიათი, ბუმბერაზი, ქურუმი, მენავეთ-მოძღვარი, ქრისტეს მებაღე, ქრისტეს მხედარი, მსაჯული, მისანი, გრძნეული, მოძღვარი, ორფეოსი, საუკუნეთა დამფშვნელი, რკინის მკვნეტელი, მოციქული, მებაღური.

მრავალგვარი ეპითეტით არის მოაზრებული „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის პოეტური სულის რაშები: „სპეტაკი პეგასი, სიყვარულის ლურჯფრთიანი პეგასი, ყალყზე მდგარი თეთრონი, მეტე-



ორთა შმაგი რაშები, დღეების თეთრი რაშები, ბუცე-
ფალი, მზით დაჭედელი მთვარის მერანი, პოეზიის
ეტილი, მარადისობის ფაფარაშლილი ვარსკვლავების
ოქროს კვიცები, ზვირთთა რაშები, ოქროს სიტყვით
დარახტული ჰუნე...

შორეთიდან მომქროლი პოეზიის მერნებით მოვ-
ლილია პრეისტორიის უღრანები, ათასწლეულები,
ზღვა, მთა, მიწა, ზეცა, პლანეტები, ვარსკვლავები,
მზე, მთვარე, გალაკტიკები, კოსმიური, ტრანსცენდენ-
ტური ცა, ხილული თუ უხილავი სამყარო, საასპარე-
ზოდ ქცეულია „იქით“, „მიდმა“ არსებული, ჩვეულებ-
რივი თვალისთვის უხილავი განზომილებები...

ბიბლიის მიხედვით, სიბრძნის მიგნება მხოლოდ
ღვთისმოსავთა ხვედრია.

„ღვთისმგებელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამა-
ოდ“.

„უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა
ცოდნა კი გონიერება“ (იგაენი, 1, 7).

„... სიბრძნე ეწევა უბიწო სულებს თაობიდან
თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტ-
ყველებად განამზადებს მათ.

რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა,
ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (სიბრძნე სოლომონის, 7,
27, 28) (10, 24).

„უკვლავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“ (სიბ-
რძნე სოლომონისა, 8, 17), (10, 24).



„ციურ ქვაზე, სიბრძნის ქვაზე“ (ქრისტეს სიმბოლოებია)

„იღესება“ პოეტის აზრი: „უფლის ნებით შემწევს ძალა სიბრძნის ქვაზე აზრის ლესვის... და თუნდ იყოს კლდე პიტალო, რწმენის ხნულში სიტყვის თესვის“ (მიტომ უნდა აიტანოთ).

ვაჟა ეგრისელი დაეძებს არა „ხორციელ გონებას“, „ხორციელ სიბრძნეს“, არამედ „სულიერ გონებას“, საღვთო სიბრძნეს (პავლე მოციქული, კოლასელთა, 1, 9).

სიბრძნის წყაროებს კი მრავალს აგნებს, ყველა დროში, ყველა ეპოქაში, როგორც ასტრონომი, ასტროლოგი, ალქიმიკოსი, მათემატიკოსი, მითოლოგი, ესთეტი, ისტორიკოსი, თამამად შედის მსოფლიოს აზრის საგანძურში. პოეტის იდეალია

„გონი კაცობრიობის სიბრძნის ქვაზე ნაღესი, ხსოვნის ციციქნა წერტილში სამყაროს რომ ითავსებს“ (მზის თასი).

„... ვით ჰერაკლე, ბრძენთა გონს მაზიაროს, კვლავ დავეძებ კენტავრ ქირონს“ ამბობს ერთგან (ქირონი).

არც მისან სიბილას ხსენებაა შემთხვევითი: „ვითარცა სიბილას წიგნები, ჩემიც ნაწერია მზის მელნით და მთვარის კალმით, ფოთლებზე პალმის“.

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მისია არარსებულ წარმატებათა, ძალაუფლებისმპყრობელ სატანი-



სეულთა ქება კი არ არის, როგორც ავადსახსენებელი სოციალისტური რეალიზმის ადებტები ავადდებულეზდნენ სულგაციდულთ, არამედ უპირველესად სულის სნეულებათა მკურნალობა: „... და შენ სიტყვით კურნავ სნებას, როგორც გალილეველი“.

ჯერ სნეულებას უნდა დაესვას უცდომელი დიაგნოზი, რათა მიგნებული წამალი მოიძებნოს.

ეს სნეულება იყო უღმერთობა, რადგან „ცვარნამული ვარდები გადაიქცნენ ქაცვებად“.

პოეტმა იპოვა ეპოქის სატკივრების სასწაულმოქმედი წამალი: „სინათლის ღვინო“, „სიყვარულის ღვინო“, „სიბრძნის ღვინო“ (ღმერთი): „მსურს, რომ სული განვიკურნო მთვარის ჩანგით, სიბრძნის ღვინით, როცა უფლის ცას შევუვლი, ღამის დარღში გახვეული მნათთა შორის სიბრძნე ღვივის...“

წმიდა სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი წერს: „სულიერი ღვინით, ზეციური ღვინით საზრდოობა განწმენდს სულიერი წყლულების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს“ (10, 163).

მხოლოდ ღმერთშემოსილთა ხვედრია ახალი მხატვრული სამყაროს მიგნება: „სამოსელი უფლის გამოსავს, ღამის უფსკრულებში მჭერეტელს, უკვდავების მირონს აკმევ ფანტომებს. ახალ სარკმელს უჭრი სათქმელს, სიცოცხლე რომ მოანდომე“ (სამოსელი უფლის გამოსავს).



პოეტი სამყაროს ხედავს „სხვათა უხილავ თვალებით და სხვა სიმაღლიდან“ (წუთისოფელი ისევ ირევს).

უღმერთო ცის ქვეშ ტანჯვა უფლის სავანესთან მიახლოებით დასრულდა: „უღმერთო ცის ქვეშ ბევრი ვიცადე, დარდის თოკებზე ვფენდი ფიქრის ფარჩებს და დიბებს. მე შენს მიუვალ სილამაზის ციხე-ციტადელს მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე“.

მხოლოდ რჩეულთ, აღმასვლას ჩვეულთ ხელეწიფებათ ღმერთებთან დავა, უფლის სიბრძნის გათავისება, რადგან ადამიანის შემოქმედება მაინც ცის სამსჯავროზე აიწონება:

„მოწყალებით გინათებს იქიდან წინაპრის სული თუ ღამე. გიხდება ღმერთებთან დავა. ამ ბობოქარი ჟამის აღმადინებით მავალს“.

ტროპარების ოსტატი პოეტის მოყვარეა ღმერთთან მებრძოლი იაკობი: „წყვიდადს ათასწლეულთა ელვასავით მიაპობ. ცად აღავლენ ტროპარებს და უფალთან მორკინალ დიდ ბიბლიურ იაკობს კვლავ თელი ძმად და მოყვარედ“.(წყვიდადს ათასწლეულთა).

როგორც „ქრისტეს ნათლულს“, უფლის მაღლით მოსილს, ვაჟა ეგრისელს წილად ხვდა სიტყვის ტაძარი, „სიბრძნის ვანი“ აეგო რწმენისთვის და პოეტმა უსასრულოდ გაამრავალფეროვნა დედა-ძის მხატვრული სახელები (11, 126-182,



210-221).

ცალთვალა მატერიალიზმით გონდაბინდულთაგან, მზერადაგმანულთაგან განსხვავებით, სხვათაგან შეუმჩნეველი იხილა სულის თვალით: „იდუმალ მხმობს სამყარო მღვრიე და ასტრალური და ერთად ვჭვრეტ შორეულ ხილულსა და უხილავს“...

პოეტის მიერ მოხელთებულ ჭეშმარიტებებს, „გონის სასახლის“ აურაცხელ საუნჯეს შეუძლებელია გასწვდეს ჩვეულებრივი ადამიანური მზერა: „ცხოვრებაა წამება, რადგან როგორც სამება, ერთურთს გადაეფუსკენით მე, სიცოცხლე, სიკვდილი, ზესკნელ შუასკნელ ქვესკნელი“ (სამება).

„სიბრძნის წყაროს“ ეზიარა გრაალის თასიდან (როცა რემი და რომულმა).

მარადიული სიბრძნე მოიხელთა უშუალო და შორეულ წინაპართან: „ჩემს ძველ კოლხეთს და ბაბილონს მთვარის ღმერთი დასცქერს ქალდე. სიბრძნის ფერი ადევთ ველებს. ტიგროსს, ეფერატს და ფაზისთან ვჭვრეტ წინაპარ ქალდეველებს“ (ჩემს ძველ კოლხეთს).

მრავალგვარია მისი საღვთო სიბრძნის წყარო: „საღვთო სიბრძნის ეს ლექსები ისე, ვითა დედამიწა, კვლავ გარშემო მზის ტრიალებს... რწმენის მარცვლებს ესესხება არაბ ბერებს ქრისტიანებს (დაზეულები) (12, 47-89).



„სიბრძნის ქვაზე“ „ციურ ქვაზე“ „სიბრძნის ლოდზე“, „ელვის ქვაზე“ „ლესავდა“ პოეტი თავის იგავიმიწვედომელ სტრიქონებს, „ფილოსოფიური ქვის“ ლიბოთი ამაგრებდა თავისი სიბრძნის სავანეს: „შენი პოეზია სავანეა ფილოსოფიური ქვით ნალესი“ (იდუმალეებით სავსეა ეგვიპტე).

მისი შემოქმედების სიდიადეს, განსაკუთრებულობას განაპირობებს „სიბრძნის ქვა“, „ელვის ქვა“, „სიყვარულის ქვა“,

„ციური ქვა“ რომელიც, სახარების „რჩეული და ძვირფასი,

„ცოცხალი ქვის“ (I პეტრე, 2, 3) ახლებური ვარიაციაა და საღვთო სახელია: „ირყევა სამყარო, ქაოსები, შენ ცას მოსხლეტილი სიბრძნის ქვა ხელში გიჭირავს ხვითოსავეთ. უცხო პლანეტიდან ჩამოსული შენ ხარ პოეტი ღვთისმოსავი“ (ირყევა სამყარო, ქაოსები).

„მადლის მწვერვალიდან“ ელის პოეტი „სიბრძნის სულს“ (ნათელი რომ შეაშინოს), უზენაესის წაყვლობით გადმოდის მასზე „მადლი ჭეშმარიტების...“

ამ სამყაროში ლოკალური გლობალურს ერწმის, თანადროულობა ათასწლეულებს ეყრდნობა, დედამიწა ჩანგია, მილიონი ათასწლეულების ღარებით და მასზე დაკვრის ხელოვნების გამთავსებელი მხოლოდ კოლხი ქრისტეს მხედარია: „ეს დედამიწა



ჩანგია დიდი, რომელიც უფალს მთვარის დარად, შეუქმნია დიდი ხნის უკან და მილიონი ასწლეული გაუბამს ლარად და დღეს შენ მასზე უკვლავ

„კოლხურ ფსალმუნებს“ უკრავ“ (დედამიწა).

არა უცხოური, არამედ ქართულია მისი გვირგვინის მთავარი თვალი: „სხვისი არა, ქართული ჯილად გადგას ღირსება და ცად ბუდეს იკეთებ. მთვარესავით ივსები სიბრძნითა და სიკეთით“ (სხვისი არა, ქართული).

მრავალგზის კეთდება აქცენტი პოეტის სიდიადის საფუძვლებზე: „შენს წიგნებში მარხია სული ძველი კოლხეთის, ტროა-კრეტა-მიკენის“ (ხედავ ათასწლეულებში).

ეროვნულსა და მსოფლიოს შორის კავშირით, დიდი გეოგრაფიულ-სულიერი განედების, საზღვარდაუღებელი ჰორიზონტებისათვის გაწვდენილი მზერით არის გამორჩეული ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყარო: „ქარის აკვანს გირწევდა ღურჯი პონტო ევქსინის და „ნენანას“ გიმდეროდა ნილოსი და ფაზისი. უკვდავებს გასხურებდა კოლხური ცის მირონი, ვით ჰერკულესს მოძღვრად ჰყავდა კასტორი და ლიმნოსი, ბრძენთაბრძენი ეგრისთევსი და კენტავრი ქირონი“ (ქარის აკვანს გირწევდა).

კოლხური სიბრძნის ჭით დარწმუნებული, ახალ ჭეშმარიტებებს აზიარებს მშობლიურ შემოგარენს, იგავური ხერხით გვამცნობს პოეტი, „ვეფხის-



ტყავით“ როგორ „მოსავს“ თავის ფუძეს, სულიერ ამოსავალს: „შენ, ვით მეფე ქეიმურსი, ვეფხის ტყავით მოსავ კოლხეთს, რომ ღვთის სიბრძნეს აზიარო“ (დრომ გაავლო ყველას მუსრი).

„ვეფხის ტყავი სიმბოლოა სამეფო ინიციაციისა, ვარსკვლავეთის..., ანუ სამყაროსი, რაც უზეშთაესი გონების განსახიერებაა...“ (13,199).

ბასილი დიდის „ფიზიოლოგოსში... ვეფხვი... სიმბოლოა ქრისტესი, ... ვეფხვის ტყავით მოსილის გაგება ფუნქციურად ემთხვევა აგიოგრაფიული „ქრისტეშემოსილის“ გაგებას“ (13, 200).

გამომდინარე უზუნაეს საწყისებთან თანაზიარობიდან, ვაჟა ვერისელის შემოქმედებაში პოეზიის მისიაც განსხვავებულად წარმონდგება, მისთვის „პოეზია სულია უფალი ქრისტე ღმერთის“...

„კოლხი ქრისტეს მხედრისთვის“ პოეტის უპირველესი მისიაა უფლის სახლის განძის დაცვა-გაფრთხილება: „უფლის სახლის განძს დარაჯობ, ისე, ვითა იოველი“ (აჰა, მცხეთა და გარეჯი).

საჭირო იყო ზეციური, „შივიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნის“ სურნელის გავრცელება ხალხში: „...შივიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნის შენ ხარ ამხსნელი“ (დრო მოვა) და პოეტი, შემცნობი მხატვრული სიტყვის უმაღლესი მისიისა, აგებდა ღვთის ტაძარს: „შენ კოლხეთში, ღვთის სამსხვერპლოს აგებ ტაძარს, ვით იესო, მაღალ მთაზე ღებალის“ (ვარ-



სკვლავების ნათება). ცოდვითდაცემული ადამიანის ხსნად ესახებოდა „იდუმალ ცეცხლთან“ – ღმერთთან ზიარება: „იდუმალი არის ცეცხლი შენი ხსნა და საესავი“ (შორეულ წარსულითან).

გრიგოლ ნოსელივით და ფილონ ალექსანდრიელივით,

„შეფარვით“ ნათქვამი სიტყვის დიდოსტატი, ბიბლიურ მოსესავით ღვთის ხელდასმული, ასე აცნობიერებს მხატვრული სიტყვის უზენაეს მისიას: „ვით თქმულება და ლეგენდა აქ ფაზისი პონტოს ერთვის და მითებით კოლხეთს ნაღმავს: შენც უფალმა მოგცა კვერთხი, ზღვა გააპე, გადი გაღმა“ (ვით თქმულება და ლეგენდა).

ზღვა ცოდვილი ცხოვრების, კვერთხი მარიამის სიმბოლოა. არც ეს განაცხადია შემთხვევითი: „... უფლის ძე ხარ, როგორც მოსე და ღმერთთან ხარ წილნაყარი“ (ვარიანტი). მოსესავით საღვთო ნისღში შეღწეულს, ეცხადებოდა ღმერთი (ელვის ოქრომკედით ნაქარგს). პოეტის სასწაულებრივი ძალისხმევის შედეგად, როგორც მოსემ დაარწმუნა მწყურვალი ებრაელები, სიყვარულის წყარო (ღმერთის სიმბოლო) აჩქეფდა

მის ლექსებში, ხოლო სულის ბაღში აყვავდა პაღმა, აღვა, კიპარისი (ღმერთის სიმბოლოებია): „კლდეზე მთვარის კვერთხი დაგკარ. მოჩქეფს სიყვარულის წყარო: არც აქი ჩანს, არც პარისი და ჩემს



ბაღში ერთად ხარობს: ალვაც, პალმაც, კიპარისიც“ (ჩემი ბაღი).

ჟამთა ათასწლეულებში უვლია ნათელმსმენი და ნათელმხილველი პოეტის სულს, რათა მოეშენებინა „ზეცის ვაზი“ (ღმერთის სახელია), მოეხელთებინა მანანა: „ჟამთა ათასწლეულებში არწია და ანანავა პონტოს პირას, ნილოსს, ფაზისს, შენი სიტყვა მანანაა, გალობაა ზეცის ვაზის“ (ჟამთა ათასწლეულებში). „ზეცის ვაზი“ და „ზეცის პური“ ღმერთის სახელებია: „და გადმოაწვიმა მათზე მანანა საზრდოდ და ციური პური მისცა მათ“ (დავითი, ფს. 77, 24).

ღმერთების სამყოფელ მეცხრე ცის კარის შემდეგ პოეტს, გარემოსილს სერაფიმებით, თვით „მებაღისაგან“ ეწყალობება „ოქროს ნაყოფი“: „ვარსკვლავთ კიბეებს მიჰყვები მაღლა, ელვახავერდად ძირს გეფინება და როს მეცხრე ცის კარი შეაღე, ოქროს ნაყოფი მოგაწოდა შენმა მებაღემ“ (ვარსკვლავთ კიბეებს).

ეს მარადიული ზეციური საუნჯე იყო „პური არსობის“

- ქრისტეს რწმენა: „გელის ათასწლეული ათობით და ასობით. მიხვალ თავაწეული და თან მიგაქვს მოსული ციდან „პური არსობის“ (გელის ათასწლეული).



ქრისტე ამბობს სახარებაში: „მე ვარ პური ცხოველი, რომელიც ზეცით გარდამოსდა“ (იოანე, 6, 51).

ღვთისმეტყველები ამ ზეცის პურს ქრისტეს მეტაფორად მიიხსენებენ: „პური ცხოვრებისა ქრისტეა“ (წმიდა კიპრიანე) (14, 439).

„პური არსობისა“ ჩვეულებრივი პური არ არის, არსობისაა, ე.ი. სულის არსზე მეტყველებს“ (წმიდა კირილე იურუსალიმელი) (14, 444).

„პური არსობისა“ აღნიშნავს მომავლის ანუ საუკუნო ცხოვრების პურს, ანდა იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ“ (იოანე დამასკელი) (14, 310).

რწმენით იპოვა პოეტმა „ტევანი ჭეშმარიტების“ (ვით დიდი ხნის წინათ), ზეციური ვაზის „ღვინო და ყურძენი“: „არსთგანმრიგე, როგორც იობს, სიყვარულით ბევრჯერ გცდიდა და ბევრ ჭირსაც გაუძეული. მოწეული არის ციდან შენი ღვინო და ყურძენი“ (არსთგანმრიგე, როგორც იობს).

„ძველი, დაწმენდილი ღვინო“ ქრისტეს სახელია ესაიას წინასწარმეტყველებაში (ესაია, თ. 25, 13).

ჭეშმარიტი სიტყვის მიზანია, ყველა დროში, ყველა ქვეყანაში მოაქციოს ურწმუნო, ასწავლოს მას ცისკენ ყურება:

„ჩემთვისაც სულ ერთია, მაშრიყი და მალრიბი, ჩრდილოცა და სამხრეთიც. ურწმუნოს და უჩინოს,



მაღლა ცისკენ ვახედებ, საქმე რომ გავუჩინო“ (ჩემთვისაც სულ ერთია).

პოეტური სიტყვის მესიად ქცეულა მაცხოვაროვით ბრმათათვის თვალის ახელა, სმენადახშულთათვის, „ყრუ საუკუნისთვის“ სმენის უნარის მინიჭება სურს: „თვალებს უხელ ბრმებს და ასმენ სმენით სნეულებს, თვით მაცხოვრის იერით, სფეროებს და პლანეტებს და შორ ათასწლეულებს, დღეში ახჯერ სტუმრობ და ჩუმიად ათვალიერებ“ (თვალებს უხელ ბრმებს და).

პოეტის დევიზია „წვიმას“ და „ცვარს“ (ღმერთის სახელებია ოსია წინასწარმეტყველი, 14, 3), აზიაროს თანამეინახენი: „... უნდა გარდამოხდე ციდან, როგორც წვიმა და ცვარი“ (გზას მიუყვება დასავლეთ).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ცის ყანაში თესავდა, უღრანს კაფავდა, „წუთისოფლის ველ-მინდვრებს“ „ორღესული ცელით“ თიბავდა, ბნელში „მხეცს“ ეომებოდა, მაცილს, ეშმაკს, ბელზებელს აფრთხოვდა, რწმენის ძალით სიკვდილსაც აჰყარა იარაღი, რათა მეცხრე ცაში, „საყვარელთან“ დამკვიდრებულიყო: „ვარსკვლავთ ხოდაბუნებში დაექვდი საყანეს, შეგეფეთა სიკვდილი, იარაღი აჰყარე!

ახლა მარჯვნივ უზიხარ მეცხრე ცაში საყვარელს“ (ვარსკვლავთ ხოდაბუნებში).



საიდუმლო სერობაზე, უფლის ტაბლაზე წვეული პოეტი უფალს ბატკანს კი არა, სიბრძნეს სწირავდა: „ეშმას შეცდომილს დრო გქონდა ყულფად, როდესაც იგრძენ, მას შემდეგ უფალს, ვითარცა ბატკანს, სწირავდი სიბრძნეს“ (ეშმას შეცდომილს).

უფლის დანთებული სანთელია „კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეული: „ო, უხილაგო, კვლავ მოწიწებით სანთლებად გინთებ „კოლხურ ფსალმუნებს“ (ჩემი სიცოცხლის მაღალ ნაძვის ხეს).

ლუარა სორდია

პროფესორი

გაგრძელება შემდეგ ტომში



არაგვის გაღმა-გამოდმა –

თვალშეუდგამი მთებია.

წამოწოლილან ლოდები

მხარ-თეძოზე და ნაპირთან –

ზამთრის მზის გულზე თბებიან...

წარსულიდან რომ მოისმის,

აღბათ,

კახთ-მეფის მოლაშქრე,

თუშ-ფშაგ-ხევსურთა ხმებია.

1999

საქართველოს ისტორია

მშობელ ქვეყნის სიყვარული

რომ არასდროს იკურნება, –

ის სნება და

ის სენია.

და სიდიდით მზის ტოლია!

ხელისგულზე მისვენია

საქართველოს ისტორია.

1962



აზილებს და აზსილებს

ისე,

როგორც მუმლი მუხას,

მტერი მუდამ ეხვეოდა –

ოქრო-ვერცხლით ავსილებს:

მისიმიელთ,

ლაზებს,

ჭანებს,

აფშილებს და აფსილებს.

1971



თბილისი – 1992

მოულოდნელად გაიღეს
ლაწანი მთათა კარებმა.
ეს არაგვია,
რომელსაც,
ვითარცა სამას არაგველს,
ქართველთა "მეფის" საშველად
თბილისს
რომ მიეჩქარება...

1992



გრიფონი

აიეტის კოლხეთში,
არსაიდან მოსული,
უამთა მღვრიე დინებას,
ალბათ კვლავ მოგიფონებს –
ჩამომჯდარი –
ზღვისკარად,
შენი ლექსის გრიფონი*.

1998

*გრიფონი – მითიური არსება ლომის ტანით, არწივის თავით და ფრთებით.



ამაოების ბაზარი

მღერიე წარსულიდან

ცეცხლს რომ გვაფრქვევს,
არაბი,

თურქი და ხაზარია.

და საიდანღაც ხმა რომ ისმის –
შიშისმგერელი, სულ სხვა ზარია.

ცხოვრება ესე –

თეკერეის

ამაოთა "ამაოების ბაზარია".

1967



არჩილ მუშის ტროპარი

ათასწლეულების მერე,
ზოგთა გარჯა მიინავლა,
შენ კი მეფე
მეფედ დარჩი!
რადგან ქართველთ მეოხ ეყავ,
ჩვენთვის სამგზის
სანატრელო –
მეფე არჩილ*.

1962

*არჩილ სტეფანოზის ძე (VIII ს.)



წარწერა საფლავის ქვაზე

ადამის ძის ნაშიერი,
კვლავ მწყურვალი,
კვლავ მშიერი,
სადაური სად მიდიხარ,
წუთისოფლის უსტაბაში.
"რას მიყურებ,
რომ მიყურებ,
მე სახლში ვარ...
შენ კი – გზაში".

1963



აქეთ – ფოთი,

იქით – ფათი

ეგვიპტე კი უდაბნოა,

და კოლხეთი – ოაზისი.

მთვარეს მოსავს უფლის კვართი.

იქ – ნილოსი,

აქ – ფაზისი,

აქეთ – ფოთი,

იქით – ფათი*.

1981

*ფათი – ქალაქი კუნძული კრეტაზე (საბერძნეთი)



ხე – ცნობის

ნისლი მოსავს ცას და მიწას,
საიდანღაც ვიღაც ყივის:
რომ სამოთხეს ეცნობა,
გწამდეს: დღეა ხე –
ცხოვრების,
და ღამე კი – ხე – ცნობის.

1976



შავშეთ – ჭანეთ – ერუშეთი

ველარ გავუძელით დელგმას –
ოსმალთ – შუბის,
სპარსთ – მოისრის!
დავიწყებას შეგუშენდით!!!
წარსულიდან –
ხმა მოისმის –
შავშეთ –
ჭანეთ –
ერუშეთის.

1967



ვარსკვლავებთან თამაშით,
მზე წყვლიადში ერთობა...
ბრწყინავს მთვარის
ფერდობი.

ბედს,
მთლად ნუ მიენდობი
და არცა უბედობას!

2003



კოლხეთი თვით ბიბლიაა

ჰელიოსის ხსენებაზე,

ათასწლეულები გამირბიან,

რადგან მისი შვილი ვარ და...


დედის რძე მკეთუნის.

კოლხეთი თვით ბიბლიაა

და... ბიბლიის დედაა –

"ეფეთი".

1971



ქართა და ქარიშხალით
მთვრალი ზღვა თავს
ლოდებს ახლის.
და ზვირთებმა გმინვა მორთეს:
თაყვანს მუდამ სცემდა ხალხი,
ღვინის არა,
ღექსის ღოთებს.

1969



ელვა ცეცხლს ანთებს,
მეხი კი
ცის გრდემლზე სივრცეს აბრტყელებს.
მთა –
მუხლმოყრილი ღოცულობს...
და მთვარე –
შიშით მოცული,
ღამის ტოტზე ზის ბარტყივით.

1963



ტიგროსის და ევფრატის პირ,
ათასწლეულების იქით –
დაეძებდი ნაშეიერებს –
დიდი ეგროსის და ქართუს!
უხარიათ, რომ გხედავენ
ასე,
მუდამ ხმალშემართულს.

2012



პოეზია – მზე არის

უფლის ნაწყალობელი
სახუქარი ზენარის,
ყოფნის სინარნარეა:

პოეზია –
მზე არის,
და პროზა კი – მთვარეა.

2001



300 ნიკოლო მაკიაველს

მოკიაფე უამთა გვირგვინს,
ღამის ფერებს კვლავ აწნავენ,
მიტომ დღეებს აკლია მზე.
და ეს გტანჯავს
და გაწვალებს,
ვით ნიკოლო მაკიაველს.

1977



სიბრძნით და სიჯიუტით,
ზოგი ბაძავს დიდყურებს
და ზოგი ცის –
ახოს ხნავს.
ვინ კი მაღლა იყურება,
ის სულ დაბლა დახოხავს.

2010



"სუფთა სინდისი –
ბალიშია ჩვენი რჩეული",
ვითარც ამბობდა.
ჰენრიკ იბსენი

იმან კი რა ქნას,
უსინდისობას
გაჩენის დღიდან რომ არს
ჩვეული
და მის ქონასაც ველარ იხსენებს.

1998



ვარსკვლავით ცად ბინადრობს
შენი ფიქრი და
გონება.

არც ნება გაქვს,
არც სურვილი,
რომ მაცხოვარს არ მონებდე
წმიდა ეფრემ ასურივით.

1967



ყველა მეფის თუ იმპერატორის
თავზე ეკიდა ხმალი –
დამოკლეს!
არ არსებობდა მოსვენება მათთვის,
არ ძილი.
სიამოვნება არის ხანმოკლე,
ტანჯვა ყოველთვის
არის ხანგრძლივი.

2003



მწვერვალი

კოლხეთის დიდ წარსულიდან –
მოფრენილმა ქარიშხლებმა,
შენი ბედი –
ზღვით არწიეს...
ხამუშ-ხამუშ შენ ლაშქრავდი
სიმაღლეებს,
მწვერვალს მიტომ მიაღწიე.

2011



ზოგჯერ ყოფნაც კი

ძალუძს არყოფნას,

პატივგება რომ უცვებ

აყაროს!

ზოგჯერ სიკვდილშიც არის მშვენება.

რა ქნას მდიდარმა,

რომ არ ყოფნის მთელი სამყარო,

ღარიბ-ღატაკს კი –

მცირე

ბევრად თუ ეჩვენება!

2012



იმედი

მწუხრიდან –

განთიადამდე,

მზეს და სიცოცხლეს

მოველი

და სამოცამდე მიველი.

ამქვეყნად არსი ყოველი

ცოცხლობს –

ხვალის დღის იმედით.

2001



ვითა დანტე ალიგიერს

არ იქნება არ გათენდეს!
და ჩამომდგარ ღამის წკვარამს
აზრთა ცეცხლის ალი გიებს.
უამთა დენა –
ყველას ზარავს,
ვითა დანტე ალიგიერს.

1971



ისტორია

სადღაც ათასწლეულთა

იქით,

ვხედავ ძველ კოლხეთს,
პონტოს სანაპიროზე წამოწოდილს
ინახად,
მოთმინებით იობის.

ისტორია ინახავს –

ხსოვნას კაცობრიობის.

2003



რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ზღვის მოქცევა და
მიქცევა!
ღღევანდელი დღე –
წარსულად,
ხვალევე გადაიქცევა.

2001



თავი შენი შეიცან

იქ არ ვიცი,

მაგრამ ცისქვეშ,

ვითა ადრე მეფობს დრონი –

ჩემიცა და

შენიცა.

და ვით გვმოძღვრავს ციცერონი:

"თავი შენი შეიცან!"

1999



გიყვარდა და...

დღეთა ბოლოს,

რომ ვერ გაუძელი ურვას,

გაიფიქრე ტრფობის ტანჯვით

კმაყოფილმა:

სიყვარული ჩემთან სტუმრად

არასოდეს არ ყოფილა!!!

2014



ბალილეო ბალილეს

თუკი,

ვითა სალესი ქვა,

ცოდნის ღესვით გაილევი,

მაშინ უფლის კალთა

გფარავს:

წარსულიდან ხმა მოისმის

ბალილეო ბალილეს.

2013



სიკვდილამდე არ მოკვდე

ილოცო და დღეში შვიდგზის
ჯვარი უნდა გადისახო,
სული რომ არ ამოგხდეს!
მიზნად უნდა დაისახო –
სიკვდილამდე –
არ მოკვდე!

1999



გონ-ბრმათა და ყრუ-მუნჯთა

ცისქვეშ ღოცვად დამღვარან
ქართველის მთები –
ორსული.


ზღვებს თვალები ბრაზისგან
ისევე ჩაულურჯდათ!

ეჰა! –

უამი მოსულა:

გონ-ბრმათა და ყრუ-მუნჯთა.

1999



ძველ კოლხეთის წარსულიდან
მოფრენილი შენი ლექსი,
ვეღარ იღებს –
კომპლიმენტებს!

თუმცა იგი
თავს დაბრუნავს
სფეროებს და
კონტინენტებს.

2014



შატილსა და ბარისახოს

როს იხილავ ღეთისმოსავი,
ვაჟას ჩარგალს,
ვით ოლიმპოს
და შატილს და ბარისახოს
მუხლი უნდა მოიყარო,
ჯვარი სამეზის გადისახო.

1968



უფლის ნებით

მე,

ვითარცა კანონმცოდნე,

ვიქნებოდი მოსამართლე,

ანდა მსაჯული.

არ დადგებოდა ცოდვათა მთები.

მაგრამ მე რა ვქნა,

მაცხოვრის ნებით,

პოეზიის კლდეზე ვარ მიჯაჭვული.

1975



ორფეოსო – ეგრის ძემ!

(ვარიანტი)

ბერძნობა ვინ დაგწამა?!

სიცბიერე ყველამ ზღოს! –

სწორედ გულში ეგ მიძევს!

კოლხთა მოდგმავ! –

პელაზგო,

ორფეოსო ეგრის ძევ!

1974



თაფლი და სანთელი

მლოცველს თაფლის და
სანთელის,
მეტი რა უნდა ენატრა!
ქარიშხალი ვერ ჩააქრობს –
კეთილ აზრის და
სიცოცხლის –
დანთებულ რწმენის კელაპტარს.

2010



**ჰკითხეთ ბრძენკაც
ჰეროდოტეს**

ისტორიის მამათ-მამას,
 ჰკითხეთ ბრძენკაც
 ჰეროდოტეს
(თუკი კიდევ შეგვიტყვენ!!!)
 "თუ არ ჰყავდათ
 ერთი დედა",
კოლხებსა და ეგვიპტელებს.

1968



მცირედ გიხანს სამყარო
და გკლავს მისი
იჭვი, რა!
და რა მოსატანია ლონდონი
და პარიზი.
თვალი ცისკენ გიჭირავს –
გელის იქ ასპარეზი.

1983



მოთაცევა

არგო იყო –

კოლხთა ნგრევის დასაწყისი!!!

მაღალი ცა

მიწას დასცეს!

ტყუილია! –

არც მედეა,

არც "საწმისი",

ცრუ ბერძნებმა

კოლხთა სული

მოიტაცეს!

1960



დაბრუნება

ფეხისწვერზე აიწვეს პონტოს ზღვა
და ფაზისი,

როს ეწვევი დაღლილი შვილი
უძვირფასესი.

გაიხარებს ქუჯის და გუბაზ მეფის
კოლხეთი;

გეტყვის: ბედნიერი ვარ,
შვილო! –

რადგან მოხვედი!

...მიგვატოვა ეგროსის ჯილაგმა
და გვარტომმა!!!

შენ იყავი იმქვეყნად ჩვენი სვე და
პატრონი –

და... ქცეული კოლხეთად...

აწი, ჩვენ ვინ მოგვხედავს?!

20..

ფსანიშნავი ფვიღული

"შენს შვიდ მკონანს სახალხოს".

გალაკტიონი

შვიდნი

მშვიდად უსხედან სუფრას
მარადისობის.

აჰა,

მერვეც მოვიდა! –
ლექს მტვერი რომ
ადინოს...

სხვას არავის ელიან!

ო, რა სანატრელია,
ამ დევკაცთა ნადიმი!..

1961

აფხაზი და ქართველი –

ერთი იყო ყოველთვის,
ერთურთს გადანასკვილი.

ამირანი –

იგივე,
იყო კოლხი აბრსკილი.

1966



ნეტავი ვისი არის სამარე,
შორით რომ მოჩანს მთვარე
ბორცვივით!

უფლის რჩეულო,
ღვთისმოსავო,
ო, მინადორა!
გაჩენის დღიდან ცაზე ლოცულობ,
რადგანაც მიწა –
თურმე არის ყუთი
პანდორას!

1979



ამა ცხოვრების უსიერ ტყეში
ყოფნას,
არყოფნა უხმობს ნიადაგ,
ისე, ვითარცა ოლოლი ოლოლს.
რადგანაც ვცოცხლობ,
აღბათ უფლის ნებას
ვასრულებ.
ჩემს აქყოფნასაც ექნება ბოლო,
თუკი ამქვეყნად –
ყოველივეს აქვს დასასრული.

2012



ჩემს შემდეგ ვერისელად 13 კაცი იწოდებოდა".

ვაჟა ვერისელი

გაზეთი "ახალი თაობა",

27.05.2013

ზოგ ჩაჩნებს და ჩაჩნაგურებს,
რომ უშენენ თავს აგურებს,
პლუტური ან ამგვარი,
ნუ ექნებათ მცდელობა,
რომ თითქოს და წაჰკვარონ
ვაჟას
ვერისელობა!!!

2013



სიყვარული მამულის –
თავკვეშ გედო ბალიშად,
როდესაც იძინებდი!
ჯერ არ მიხვალ...
წახვალ და –
"თვის ერს შეეძინები".

2010



"შოთა, აკაკი, ილია,

ვაჟა და...

კალაქიონი

თაყვანს სცემ მათ სიდიადეს,

ვინც რომ აღარ გინახავს.

მათ ხსოვნას კი იღუმაღ –

გულში კრძალვით ინახავ;

იმათ ნახვას ნუ ჩქარობ,

რადგან ჯერ მათ "ამქარში"

ვერ დაჯდები ინახად.

1966



ბანძი

დღისით სანთლით დადიოდი,
ისე, როგორც დიოგენე,
ათას ცოდვა აკიდული
და... ბოლოს განძს მიაგენი –
გადამალულს –
ძველ კოლხეთში,
და... დაკეტილს ცხრაკლიტულით.

1961



✽

ლოდიო

მუნჯი საუკუნენი

ფეხაკრეფით მიდიან...

რა ქნან!

რუსთაველური

ვერ გაშალეს მხარ-ბეჭი.

შენ გელიან!..

შენ გახსნი! –

უფლის ნაწერ წიგნს – დიადს,

"შვიდი ბეჭდით –

დაბეჭდილს!"

1961



აბაძახებს და აბაზებს

ქრისტიანი ჯიქები კი,
ოსმალთ აღას
კვლავ აბრაზებს
და ამიტომ მათთან ერთად,
"მუჰაჯირად" კვლავ მილაღავს
აბაძახებს¹ და აბაზებს²,
ბუედულებს³ და
უბიხებს⁴.

1976

1,2,3,4 – ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველთა მონათესავე ტომები



არაგვის ტალღებს მოაქვთ მთებიდან
ხმა და ყიყინა
წარმართ ფხოველთა.

აღარც სიძე ჩანს,

აღარც მაყარი.

და ლოცვად დამდგარ სვეტიცხოველთან –
ისმის ტალღების
აყალ-მაყალი.

1971



სამყაროს გულს გაჩნია იარა და...

სანამ საღეს ქვასავით

გაიღევი,

მარტო კოლხეთის კი არადა,

ჰყვები დედამიწის ისტორიას –

"გეოლოგიით ღაიელის".

1989



რუსოს, ჰეგელსა და ფროიდს

როს კოცონზე დაწვეს ბრუნო,
მაშინ მიწის ბრუნვა იგრძენ!
წამით შეწყდა ათვლა დროის.

და...

ესეხე ნორჩმა სიბრძნე:
რუსოს,
ჰეგელსა და
ფროიდს.

1963



პატაგონია

რადგან ყველაფერს უამი –
 უუამო,
 დავიწყების ქარს ატანს გგონია,
ცაო მადლო!
 მარქვი ყველა!
რადგან კოლხეთის პატაგონია*,
პონტოდან აღწევს –
 ცეცხლოვანი მიწის
 არქიპელაგს.

1971

*პატაგონია – გეოგრაფიული რეგიონი, რომელიც მოიცავს სამხრეთ ამერიკას, არგენტინას, ჩილეს და აღწევს ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგამდე.



კველი კოლხეთი

რა დღეს,

რა ხეალ კოლხეთი,

მტკვარს და ფაზისს გაცდება,

ნილოსს და შუამდინარეთს.

თქვენ

გგონიათ, მას სძინავს?!

არა,

თავს იმძინარებს.

1969



მოკლე,

მაგრამ ხმა ღვთიური,
გაჩენიდან ციდან გესმის
და ზეცისკენ იურვი,
მიტომაა შენი ლექსი
ასე ლაკონიური.

1968



**ბებერ ეტრატებს და
პალიმფსუსტებს**

ახლა შორსაა გზა და მანძილი,
რომ გაადვიდოს არ ჩანს
მოთავე,
და მღვიმეებში სძინავთ ღრმა ძილით:
ბებერ ეტრატებს
და პალიმფსესტებს,
დარდის გრაგნილებს,
პერგამენტებს და
"ოთხოვებს".

1976



მთებით სახედარული,
შენი სიმაღლიდან, მზეო,
დედამიწა ჩანს ხნერი.
თუმცა ცით მას მეურვეობს –
ყოვლად ბრძენი,
ძლიერი და
სახიერი.

1982



თუ არაა უფლის შვილი,
გზას უფლისკენ ვერ
გაიგნებს,
ნისლში მდგარი, ვით ნობილე.
დრო დასტირის –
ადრე მიცვალებულ წიგნებს,
საწყალ ლექსებს
მკვდრად შობილებს.

2010



ეშმაკისეულთ ღამით არ სძინავთ,
ვიღაც თხოულობს შველას –
არიქა!

ზღვის სიჩუმეში აგარდა ალი
და ღამის ნისლში გაკრთა
ორი რქა,
ვითარც უღვაში საღვადორ დალის.

1971



ქუჯისა და ფარნავაზის

ღვთით კურთხეულ ქართულ მიწას,
აღმოსავლეთ –
დასავლეთით,
ღვთის ნერგი რომ ფარავს ვაზის,
ამას უნდა ვუმადლოდეთ
ნიჭს ქუჯის და
ფარნავაზის.

1972



პოეტი ხარ ველური

ქაოსური სამყარო,

შენზე იყო ორსული

და წაჰგვარე მზეს რული.

ჟამთა უღრანებიდან –

წეწვა – გლეჯით მოსული,

პოეტი ხარ ველური.

2011



კოლხეთის დიდი წარსულის –
შენ გააცოცხლე დრო იგი,
რომელიც აღარ ნადრახობს.

"აღექ!

მგლის მუხლი მოიბი,
რამ წაგახდინა, ყაძახო!"

1964



მზეჭაბუკი

ლადო ასათიანს

"სალადობოს" გაპყიოდა,
ლექსი ჰქონდა მეხის დარი...
და დღეს კი ერთად დამსხდარან
და ელიან იმ მზეჭაბუკს:
ლეშკაში¹ და
ლეხიდარი²,
ლასურისი³ და ლასხანა⁴.

1960

1,2,3,4 – სოფლები ლეჩხუმში



ქარიატელ ქარიტებს

პოეზიის ღმერთი კი,
რადგან თვალებს გარიდებს!!!
ისე, ვით ევრიპიდე,
"მუზათ შემწედ მოგუხმობ"
ქარიატელ –
ქარიტებს.

1966



სადაც არ არის საჭირო,
მავანი ცხვირს ჰყოფს
ხშირად იქ
და ჯოჯოღად სახავს ფერიას.
გვასწავლის სიბრძნე
ზირაქის:
"ფისსა და ამპარტავნებას –
ერთი ზნე,
ერთი ფერი აქვს".

1986



შენი სამუფეო ზე-ცაა,
სად მნათთა ციმციმი და
კიაფია

და აღის აღი.

შენი პოეზია – "ცეცხლმოდებული
ქირაფია" –
საღვადორ დაღის.

2012



300 ქმერქე და დარიოს

ომის ღმერთმა არესმა,
ვეზირიც და
ხელმწიფეც,
ისე ნუ გადარიოს,
რომ ღმერთობა მოუნდეს
ვით ქსერქეს¹
და დარიოს²!

1965

1,2 – ქსერქე, დარიოსი (მამა-შვილი) – სპარსეთის მეფეები (ძვ. წ. V ს.)



ისევ ამაღლება

ცისკარივით გათენდი,

მაგრამ აღარ დაღამდი!

თუმცა შურის და

მტრობის

ქინქლა შემოგესია!!!

მაინც, უფლის წყალობით –

მეცხრე ცამდე ამაღლდი,

და დაიდე იქ ბინა,

ისე, როგორც მესიამ.

2014



კოლხურ ციდან მოისმის
ხმა მთიებთა საარის.
ჟამთა ქორონიკონებს
შენი ჩანგი არ ითვლის.
ღამის წყვდიადს ანათებს –
"ფსალმუნები" დავითის,
მაგრამ მაინც "კოლხური",
ნორჩია და...
სხვა არის!

1992



სულეგაყიდულთა თავზე,
მზე ჰკიდია,
ვით დამოკლეს
მახვილი და... დღე – დღეს მისდევს...
შორიდან კი გრძელი მოჩანს,
მათი გზა კი არის მოკლე!!!
და სურთ ისევ მოკლან ქრისტე,
კლავენ...
მაგრამ ველარ მოკლეს!

1971



ბრაალის რაინდი

ბევრი მირონცხებული,

უამმა აღარ დაინდო!

გზაზე ათასწლეულის –

დასწვა ცეცხლით და აღით...

შენ შემორჩი "გრაალის"

ერთადერთი რაინდი.

1974



სამყარო უსმენს გაღურსული,
როცა ვარსკვლავები
ცის სცენაზე –
გამოდინან და დიდგულობენ...
და დედამიწას –
ნაწერს ხეების ლურსმულით
გათენებამდე კითხულობენ...

1961



საიდანღაც ხმა ისმის მჭუმუნვარე:

– ძნელია,

მაგრამ უკეთესია,

თუკი სულიერ გვემას აიტან...

ჯვარს გაცვან,

მოკვდე, როგორც მესია,

და მერე ისევ იშვა თავიდან.

1989



როცა ღამის წყვილადში –
ერთად ჩავა ყველა მზე
და კოლხეთის წარსული –
არგონავტებს მოგისევს!
სწორედ მაშინ ღაზური –
სიტყვა დაწვავს პელაზგებს –
აქილევსს და
ოდისევსს!

1972



ოქროს ვარსკვლავთა სიმბიძისაგან
გადრეკილია ღამის სვეტები...
ახლა შენს ირგვლივ –
მირიადი ღანდი ირევა...
მაგრამ დრო იყო თავგამეტებით
რომ გფარველობდა –
ღმერთი მინევრა*.

1989

*მინევრა – სიბრძნის, გონიერების, პოეზიის და მუსიკის
მფარველი რომაული ღვთაება



ჟამი ისევ დამდგარა –
ერუ-მუნჯთა,
ჩლუნგთა
და ბეცთა,
მაძღართა, არა მშიერთა.
და ღრენა ისევ მოისმის –
აპოკალიფსურ მხეცთა
და იმათ ნაშიერთა.

1969



დიდოსტატებს სონეტის

ზოგ-ზოგები ჩუმ-ჩუმად,
ისევ ისე ბაძავენ –
გაელვებას კომეტის:
ალიგიერს¹,
პეტრარკას²,
ბუნაროტს³,
ვივალიდს⁴, –
დიდოსტატებს სონეტის.

1972

1,2,3,4 – დიდი იტალიელი პოეტები



კლდეებს ათასწლეულების
რაც ქვა-ლოდი
მოხეთქვია,
მექცა ღამედ და მეწყერად!
უუძველესი კოლხეთია –
ჩემი ხსნა და
ბედისწერა.

2010



ხელმწიფის ნაგში მსხლომ მელექსეთა
ეფემერული ისმის ხარხარი,
და შენ წუხილით ამბობ

მეასედ:

ვით ადრე, ეხლაც ნაღდ პოეტებს
ცოცხლად მარხავენ,

მერე უწყობენ "სპირიტისტულ
ღამის სეანსებს".

1973



პალიმფსესტს ჰბავს სამყარო

წარღვნის მოლოდინში კვლავ,
ისევ უნდა აყაროს
ღმერთმა არსი ყოველი –
ცხოველ-ფრინველ მწერებით.
პალიმფსესტს ჰბავს
სამყარო,
ძველს შლის და მის ადგილზე –
ახალი იწერება.

1969



ოსკვ ლოდინი

ვითა წლები საუკუნეს,
ისე ცვივა მთებს
ლოდები...
შენი ზღვები აფრებს არ შლის!
პოეზიის ორპირ ქარში
დგახარ და...
მზეს ელოდები...

1966



დედა-შვილი

დღიდან –

მოსული დამე –

დაღლილი,

მთვარის დიდ შუქზე ვეღარ იძინებს.

ცას ვარსკვლავებით

ეწვის დაწვები.

მიწას კი მთები გულზე აწვება,

მაგრამ დედაა...

ჩუმად იტანს შვილთა სიმძიმეს.

2007



დავიწყების გზებზე მავალს –
სიტყვას მეგრულს,
სვანურს,
ლაზურს,
სიყვარულით ესაღბუნე,
მერე ასო-
ასო სდიე...
ახლა ცა ბჭობს შენს
ფსალმუნებს
და შენს კოლხურ რაფსოდიებს*.

1972

* რაფსოდია (ბერძ.) – სიმღერები ლეგენდარულ გმირებზე და ღმერთებზე



მისასვლელი დავტოვოთ

ბილიკი –

ერთმანეთთან!

(მცირე ფეხდასადგამი).

სანამ მოდგმა ადამის,

წაღეკავს მთელ პლანეტას!

2009



იონელები

უძნელესი გზებით ვლიდნენ...
გზა ვერ გაიიოლეს,
თუმცა ბევრი იბრძოლეს
და იომეს...
"ილიადას",
"ოდისეას" –
მზე ათბობდათ, –
ლაზ ქურუმებს – იონელთ.

1973



პონტოს სანაპიროზე
ღამით ვიღაც გაჰყივის:
მადლი! –
რადგან მოხვედი! –
მტერთა ბნელში მგლისელო!
აბა,
რა იქნებოდა,
აიეტის კოლხეთი,
უვაჟ-უეგრისელოდ!

2014



ცის ვეება ბაღდახინზე –
